

სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ, „მცენარეთა დაცვისა და ფიტოსანიტარული კეთილსაიმედობის“ და „აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების“ 2022 წლის სახელმწიფო მიზნობრივი ქვეპროგრამების ასიგნების ფარგლებში, შესყიდვების განხორციელების მიზნით შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი №1

ქ. თბილისი

სხდომას ესწრებოდნენ:

ზურაბ ლიპარტია – კომისიის თავმჯდომარე
გიორგი იაკობაშვილი - კომისიის წევრი
ნიკოლოზ მესხი - კომისიის წევრი
თამარ ჯავახაძე-კომისიის წევრი
გერონტი ფრუიძე - კომისიის წევრი
ნატო თოთიაური-აპარატის წევრი

დღის წესრიგი:

1. აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ფარგლებში, ურბანულ და სასოფლო ზონებში, დეზინფექცირებისა და შეწამვლის (CPV 90670000) - სპეციალური აგრეგატის გამოყენებით ქიმიური წამლობის ჩატარებასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვის მიზნით, ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში გამოსაქვეყნებელი განცხადების ტექსტისა და სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა-დამტკიცება.

სატენდერო კომისია გაეცნო ზემოაღნიშნული მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოსაცხადებელი ელექტრონული ტენდერის განცხადებისა და ტექნიკური დავალების პროექტებს, რომლებიც შედგენილია “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-12¹ მუხლის, ასევე “ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების მოთხოვნათა შესაბამისად.

გაიმართა სატენდერო დოკუმენტაციისა და განცხადების პროექტის განხილვა და გარკვეული კომპონენტების დაზუსტება.

შესყიდვის სავარაუდო ღირებულების დადგენის მიზნით კომისია გაეცნო აპარტის წევრის ნატო თოთიაურის მოხსენებით ბარათს, ბაზრის კვლევის შედეგებთან დაკავშირებით და მიიღო გადაწყვეტილება 1 ჰექტარი შეწამვლის ღირებულება განისაზღვროს 39.00 ლარით.


დღის წესრიგით გათვალისწინებული და ზემოთ აღნიშნული საკითხების განხილვის საფუძველზე, პოზიციათა შეჯერების გზით, სატენდერო კომისიამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება.

სატენდერო კომისიამ დაადგინა:

1. შესყიდვის ობიექტია ურბანულ და სასოფლო ზონებში, დეზინფექცირებისა და შეწამვის (CPV 90670000) - სპეციალური აგრეგატის გამოყენებით ქიმიური წამლობის ჩატარებასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა.
2. შესყიდვა განხორციელდეს აუქციონის გარეშე, ელექტრონული ტენდერის საშუალებით,
3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება - **585,000 ლარი**.
4. განისაზღვროს სატენდერო წინადადების ფასის კლების ბიჯი **5,000.00** ლარის ოდენობით;
5. დამტკიცდეს სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენილი ვარიანტი, რომელიც სრულად პასუხობს “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-12¹ მუხლის მოთხოვნებს;
6. სატენდერო კომისიის აპარატმა მოახდინოს დამტკიცებული განცხადების ტექსტისა და სატენდერო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსება.




ზურაბ ლიპარტია



სააგენტოს უფროსის მოადგილე
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო

გიორგი იაკობაშვილი



სააგენტოს უფროსის მოადგილე
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო

ნიკოლოზ მესხი



დეპარტამენტის უფროსი
მცენარეთა დაცვის დეპარტამენტი

თამარ ჯავახაძე




დეპარტამენტის უფროსი
საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი

გერონტი ფრუიძე



დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი

ნატო თოთიაური



სპეციალისტი
სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო